ვისია ღია საგანმანათლებლო რესურსები?!

პირველად ტერმინი „ ღია საგანმანათლებლო რესურსები “ 2002 წელს UNESCO-ს ღია კურსების თემატიკისადმი მიძღვნილ ფორუმზე ახსენეს. იმ დროისთვის, 6 წლის ვიყავი. ბუნებრივია მაშინ წარმოდგენა ვერ მექნებოდა ამ საკითხზე. შემდეგ დამამთავრებელ კლასებში, როდესაც ხშირად ვიყენებდი ინტერნეტს სასურველი მასალისა თუ რესურსის მოსაძიებლად, არც მაშინ მიფიქრია საავტორო უფლებებზე და იმაზე თუ რა პრინციპით და პირობით არის განთავსებული ინფორმაცია, რომელზეც მე მქონდა წვდომა.

დღეს ციფრულ-საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებასთან ერთად უკვე შეუზღუდავად შეგვიძლია გავეცნოთ სასურველ დამხმარე სასწავლო მასალებს, რომელთა ნაწილიც ღიადაა ხელმისაწვდომი - ავტორი მათი უსასყიდლოდ და მარტივად გამოყენების უფლებას გვაძლევს . ეს არის ერთ -ერთი მთავარი მახასიათებელი ღია საგანმანათლებლო რესურსების. ღია საგანმანათლებლო რესურსების - Open Educational Resources - იგივე OER - ის, ერთ-ერთი პირველი განმარტება შემდეგნაირია: „ სწავლების, სწავლის და კვლევის მასალები, წარმოდგენილი ნებისმიერი საშუალებით, ციფრული თუ სხვა, რომელიც არის საყოველთაო საკუთრებაში ან გამოქვეყნებულია ღია ლიცენზიით, რომელიც ნებას რთავს უფასო წვდომას, გამოყენებას, ადაპტაციას და სხვების მიერ გაზიარებას მცირე ან არანაირი შეზღუდვებით. ღია ლიცენზია შექმნილია ინტელექტუალური საკუთრების კანონების ფარგლებში, განსაზღვრული რელევანტური საერთაშორისო კონვენციების მიერ და პატივს სცემს ნაშრომის ავტორს “. რა თქმა უნდა, შემდეგ გაჩნდა ღია საგანმანათლებლო რესურსების სხვადასხვა განმარტება. შედარებისთვის, ვნახოთ თუ როგორ ხსნის „ თანამეგობრობა სწავლისთვის “ ღია საგანმანათლებლო რესურსებს - „ თავისუფალი და ღია მასალები გამოქვეყნებული, სწავლებაში, სწავლაში, განვითარებაში და კვლევაში გამოსაყენებლად და შესაცვლელად “ . ეს ღია საგანმანათლებლო რესურსების ყველაზე ფართო და განზოგადებული განმარტებაა. ხშირ შემთხვევაში ჰევლეტების ფონდის განმარტებას ციტირებენ " სწავლების, სწავლის და კვლევით რესურსები, რომლებიც არის საყოველთაო საკუთრებაში ან გამოქვეყნებულია ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზიით, რომელთა უფასო გამოყენება და შეცვლა სხვების მიერ ნებადართულია. ღია საგანმანთლებლო რესურსებში შედის მთლიანი კურსები, კურსის მასალები, მოდულები, სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ტესტები, პროგრამული უზრუნველყოფა და ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტი, მასალა ან ტექნიკა, რომელიც გამოიყენება ცოდნასთან წვდომის უზრუნველსაყოფად."

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, ღია საგანმანათლებლო რესურსების ძირითადი მახასიათებლები :

- მოიცავს როგორც გამოყენებას, ისე ამ რესურსების შეცვლას, ადაპტაციას და მოდიფიკაციას;

- მოიცავს უფასო გამოყენებას მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ, საგანმანათლებლო მიზნებისთვის;
- მოიცავს ციფრული მედიის ყველა ტიპს.

რაც შეეხება ღია საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებულ ინტელექტუალური საკუთრების თემას ორი მიდგომა უნდა განვიხილოთ: საყოველთაო საკუთრება და ღია ლიცენზია.

საყოველთაო საკუთრება, (Public Domain) — ხელოვნების ნიმუშთა ერთობლიობა, რომლებზეც საავტორო უფლებებს ვადა გაუვიდათ ან არასოდეს ქონიათ. ზოგჯერ საყოველთაო საკუთრებად მიიჩნევა გამოგონება, რომელზეც პატენტს ვადა გაუვიდა. საყოველთაო საკუთრების გავრცელება და გამოყენება შეუძლია ყველას, შეზღუდვების გარეშე. საყოველთაო საკუთრებაში მოხვედრილი ნაწარმოები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამასთან დაცული უნდა იყოს საავტორო უფლება, სახელის უფლება და ავტორის რეპუტაციის დაცვის უფლება. საყოველთაო საკუთრებაში ნაწარმოების გადასვლის ვადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ევროპის უმეტეს ქვეყანაში ეს ვადა განსაზღვრულია 70 წლით ავტორის გარდაცვალებიდან ან 70 წელი ნაწარმოების გამოქვეყნებიდან.

ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზია საშუალებას აძლევს ავტორს დაიცვას საავტორო უფლებები, რაც მნიშვნელოვანი ნაწილია ღია საგანმანათლებო რესურსების შექმნისას. აღსანიშნავია, ღია საგანმანთლებლო რესურსების შექმნამ ხელი შეუწყო ინტელექტუალური საკუთრების ახალი ტიპის ლიცენზიის შექმნას. Creative Commons წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც 2001 წელს შეიქმნა და მიზნად დაისახა საავტორო უფლებების რეფორმირება. Creative Commons -ის ყველაზე ხშირად გამოყენებული ქართული შესატყვისი ვერსია არის შემოქმედებითი გაერთიანება. **Creative Commons -ის ლიცენზიები ნებას რთავენ პირებს ნამუშევრები თავისუფლად გამოიყენონ.** პირებმა, რომლებსაც სურთ Creative Commons-ის ლიცენზია აიღონ, უნდა უპასუხონ რამდენიმე მარტივ შეკითხვას - კომერციული დანიშნულებით გამოვიყენებთ თუ არა შექმნილ მასალას და ვაძლევთ თუ არა სხვა პირებს ჩვენი მასალის შეცვლის საშუალებას. ამ მარტივი ფორმის შევსების შემდეგ, ავტომატურად ვიღებთ ჩვენთვის სასურველ ლიცენზიას. Creative Commons აქვს განსხვავებული ლიცენზიები, რომლებიც შემდგომში პირებს ნებას აძლევს მოცემული ლიცენზიის მიხედვით გამოიყენონ აღნიშნული მასალა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- ლიცენზია ავტორის მითითებით Attribution (by) - აღნიშნული ლიცენზია საშუალებას აძლევს სხვა პირებს გააზიარონ, შეცვალონ, გადააკეთონ და შექმნან თქვენ მასალაზე დაფუძნებული ახალი ნამუშევარი, ამასთანავე მას მისცენ კომერციული სახე თუ თქვენ მოხსენიებული იქნებით ორიგინალი ვერსიის შემქმნელად.

- ლიცენზია ავტორის მითითებით, გავრცელების იგივე პირობით Attribution-ShareAlike (by-sa) - აღნიშნული ლიცენზია საშუალებას აძლევს სხვა პირებს გააზიარონ, შეცვალონ, გადააკეთონ და შექმნან თქვენ მასალაზე დაფუძნებული ახალი ნამუშევარი, ამასთანავე მას მისცენ კომერციული სახე თუ თქვენ მოხსენიებული იქნებით ორიგინალი ვერსიის შემქმნელად და განახლებული მასალა ამავე ლიცენზიით გამოქვეყნონ. თქვენს ნამუშევარზე დაფუძნებულ ყველა ახალ მასალაზე გავრცელდება იგივე ლიცენზია, შესაბამისად, ნებისმიერი მეორეული ნამუშევრის გამოყენება შესაძლებელი იქნება კომერციული მიზნებისთვის.

- ლიცენზია ავტორის მითითებით გადამუშავების გარეშე Attribution-NoDerivs (by-nd) – ეს ლიცენზია უფლებას აძლევს სხვა პირს, რომ მასალა ხელახლა გამოიყენოს, ნებისმიერი, მათ შორის მოგების მიღების მიზნით. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ის არ უნდა გაზიარდეს სახეცვლილი ფორმით, არ უნდა იყოს გადამუშავებული და ამის ნებართვა თავად მასალის ავტორმა უნდა მოგცეთ.

- ლიცენზია ავტორის მითითებით, არაკომერციული გამოყენებისთვის Attribution-NonCommercial (by-nc) - ავტორი მისი მასალის მხოლოდ არაკომერციულ გამოყენებას ითხოვს. როგორც რიგ შემთხვევებში, აქაც სხვა პირებს შეუძლიათ მასალის შეცვლა საჭიროებისამებრ, მაგრამ მისი გაზიარების მიზანი მოგების მიღება არ უნდა იყოს. განახლებული მასალაც არაკომერციულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. არ არის აუცილებელი, რომ განახლებული მასალა იმავე ლიცენზიით გამოქვეყნდეს.

- ლიცენზია ავტორის მითითებით, არაკომერციულ გამოყენებისთვის, გადამუშავების გარეშე Attribution Non-commercial Share Alike (by-nc-sa) - რესურსის გამოყენებისას აუცილებელია ავტორის მითითება, არ შეიძლება მისი გამოყენება მოგების მიღების მიზნით და გადაკეთებული რესურსის შემდგომი გავრცელებაც ამავე ლიცენზიით უნდა მოხდეს.

- ლიცენზია ავტორის მითითებით, არაკომერციული გამოყენებისთვის, გადამუშავების გარეშე Attribution Non-commercial No Derivatives (by-nc-nd) - ეს ლიცენცია არის ყველაზე შემზღუდველი. ავტორი მომხმარებელს მხოლოდ მისი

მასალის ჩამოტვირთვის და გაზიარების უფლებას აძლევს, მაგრამ არ შეიძლება მისი შეცვლა ან მისი კომერციული მიზნით გამოყენება.

თუ გსურთ, უფრო დეტალურად გაეცნოთ Creative Commons -ის ლიცენზიებს, შეგიძლიათ ეწვიოთ მითითებულ ბმულს[1].

მოკლედ, ძირითადი განსხვავებები საყოველთაო საკუთრებასა და ღია ლიცენზიას შორის.

საყოველთაო საკუთრება	**ღია ლიცენზია**
საავტორო უფლება უგულვებელყოფილია	საავტორო უფლება შენარჩუნებულია
ავტორმა ყველა უფლება გადასცა საზოგადოებას მის მიერ შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებასა და გავრცელებაზე	ავტორმა გადასცა ვრცელი უფლებები საზოგადოებას, რომ მათ გამოიყენონ და გაავრცელონ მისი ინტელექტუალური საკუთრება

სანამ მიიღებთ გადაწყვეტილებას, თქვენს მიერ შექმნილი მასალა ღია საგანმანათლებლო რესურსად აქციოთ, კარგად უნდა დაფიქრდეთ რა ფორმით გამოაქვეყნებთ მას - რესურსი იქნება საყოველთაო საკუთრებაში თუ ისარგებლებთ ღია ლიცენზიის ფორმით (Creative Commons - ის ლიცენზიებით). უნდა იყოთ დარწმუნებული, რომ თქვენი ნამუშევრის გაზიარების შესაძლებლობა სხვებსაც ექნებათ. დაზუსტებით უნდა ვიცოდეთ, რომ საავტორო უფლებებთან დაკავშირებით არ შეიქმნება პრობლემა მასალის გამოყენებისას. ამისათვის კი აუცილებელია ნაშრომი აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს ან იყოს მათი კომბინაცია:

- უნდა იყოს თქვენს მიერ შექმნილი მასალა
- ემყარებოდეს ღია რესურსების პრინციპს
- ემყარებოდეს საყოველთაო საკუთრებით აღიარებულ პრინციპებს
- ემყარებოდეს სხვა პირის მასალას, მაგრამ დაცული იყოს საავტორო უფლება და გვქონდეს ავტორისგან მისი მასალის გამოყენების უფლება
- ან იყოს კომბინაცია ზემოთ მითითებული ვერსიების.

შეიძლება, ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, რატომ უნდა მისცეს სხვა ადამიანს უფლება უფასოდ ისარგებლოს მის მიერ შექმნილი რესურსით. ღია რესურსების შექმნის იდეა ფილანთროპულია და დაკავშირებულია ენთუზიაზმთან - ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღება. მასწავლებლებისა და განათლების ექსპერტების მიერ შექმნილი და გაზიარებული მასალები ზრდიან შესაძლებლობას ყველამ მიიღოს ხარისხიანი განათლება. გარდა ალტრუისტული მოსაზრებისა, საკუთარი ნაშრომის სხვებისთვის გაზიარება საგანმანათლებლო რესურსის

[1] https://creativecommons.org/

შემქმნელს ეხმარება გაზარდოს თავის ცნობადობა, აღიარება და სოციალური სტატუსი პროფესიულ წრეებში.

და ბოლოს იმისათვის, რომ კონკრეტულად ვნახოთ როგორ მუშაობს ღია საგანმანათლებლო რესურსები, მაგალითის სახით გიზიარებთ რამდენიმე უცხოური OER - ის პლატფორმას.

- https://www.curriki.org/ - მოცემული გვერდი 10 წელზე მეტია რაც არსებობს და გვთავაზობს ერთ - ერთ საუკეთესო პროგრამებსა და გაკვეთილებს, რომლებზეც მაღალი მოთხოვნაა. აღსანიშნავია, რომ ეს რესურსი უფასო, ღია და ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც სურს სწავლა და სწავლება. გვერდი სთავაზობს მომხმარებელს მასალას, რომლის ხარისხიც შემოწმებულია განათლების ექსპერტების მიერ და გამოქვეყნებულია ღია ლიცენზიით. ეს კი გვაძლევს მისი გამოყენების, გადამუშავების, ადაპტირებისა და გაზიარების შესაძლებლობას. სასწავლო მასალა მოცემულია, როგორც სკოლამდელი, დაწყებითი და უმაღლესი საფეხურის სტუდენტებისთვის. ძირითადი საგნებია: ხელოვნება, პროფესიული განათლება, კომპიუტერული მეცნიერებები, ELA (English Language arts), მათემატიკა, მეცნიერება და სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები. მასალების ავტორთა უმრავლესობას თავიანთი მასალებისთვის გამოყენებული აქვთ Creative Commons- ის ლიცენზიის სახეობა -Share Alike.
- https://www.ck12.org/ - გვერდი აძლევს შესაძლებლობას ყველას მიიღოს განათლება და ჰქონდეს წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე. შექმნილი მასალები ინდივიდუალურად ერგება თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. გვერდის მისიაა დაეხმაროს ყველას ისწავლოს მისთვის სასურველი გზით. სასწავლო მასალა ცნებებზე დაფუძნებული კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად არის შემუშვებული. სასწავლო მასალების გადმოწერა და გახსნა შეგვიძლია, როგორც კომპიუტერში, ასევე ტელეფონშიც. საგნების არჩევა შესაძლებელია განათლების საფეხურის მიხედვით. სასწავლო მასალა „Byte-Sized"[2] პრინციპით არის შედგენილი, რაც უზრუნველყოფს მასალის ადვილად ხელმისაწვდომობას და სწავლების პროცესის ოპტიმიზაციას. გვერდი სარგებლობს Creative Commons-ის ლიცენზიით - NonCommercial
- https://www.oercommons.org/ - განთავსებული რესურსები საშუალო საფეხურისა და და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი. მასალები არის მრავალფეროვანი, როგორც კონკრეტულ საგნებში, ასევე ზოგადი, პრაქტიკული ცოდნისთვისაც. ხელმისაწვდომია 50000-ზე მეტი ღია საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მოიცავს საუნივერსიტეტო კურსებს, ინტერაქტიულ მინი-გაკვეთილებსა და სიმულაციებს, წიგნებს. გვერდი სარგებლობს Creative Commons-ის ლიცენზიით - Non-commercial Share Alike.

რა თქმა უნდა, ეს სრული ჩამონათვალი არ არის იმ გვერდების, რომლებიც ღია საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომას გვთავაზობენ. გაგიზიარეთ, ჩვენთვის საინტერესო

---

[2] სასწავლო მასალის ქვე-თემებად, საკითხებად ჩაშლა და ოპტიმალური, დანაწევრებული სახით მიწოდება, ისე რომ მოკლე დროში საკითხი სწრაფად და ადვილად დაძლევადი იყოს გაგებისა და ათვისებისთვის. „ულუფის ლუკმებად მიწოდება"

OER -ის გვერდები და იმისთვის რომ უფრო კონკრეტულად გავიგოთ მათი მუშაობის პრინციპი, შეგვიძლია დავრეგისტრირდეთ და უკვე პრაქტიკაში ვნახოთ, როგორ მუშაობენ და ვიპოვოთ ჩვენთვის სასურველი პლატფორმა.

ასევე, გთავაზობთ ქართულენოვან საგანმანათლებლო ციფრულ პლატფორმებს, რომლებიც სასწავლო მასალას სთავაზობენ მოსწავლეებს. თუმცა აღნიშნული პლატფორმები ღია საგანმანათლებლო რესურსების ყველა პრინციპის დაცვით არ ფუნქციონირებენ, ანუ აქ განთავსებული ინფორმაცია სრულად დაცულია საავტორო უფლებებით.

- https://tvschool.ge - პლატფორმა სკოლის მოსწავლეებზეა გამიზნული და მეტწილად დახურული ტიპის დავალებების კრებულებს სთავაზობს. გაკვეთილების ცხრილში საგნები კლასების მიხედვითაა და ის საგნებია მოცემული, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. დავალების დამატება მასწავლებელს შეუძლიათ და მათ შინაარსზე პასუხისმგებლები თავად არიან. დავალების დამატებით მასწავლებელი tvschool-ს უფლებას აძლევს გამოიყენოს ეს დავალება ნებისმიერი, მათ შორის კომერციული მიზნით. მომხმარებლის მიერ საიტზე არსებული მასალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საიტზე, არაკომერციული მიზნით. მოცემულ პლატფორმაზე განთავსებული მასალა tvschool-ის საკუთრებაა (საკუთრების ყველა უფლება დაცულია) და საიტზე არსებული მასალის და მისი ნაწილის რეპროდუცირება, გამოქვეყნება, მოდიფიცირება, მესამე პირებისათვის გადაცემა ან ნებისმიერი სახით გამოყენება tvschool.ge - წინასწარი თანხმობის გარეშე მომხმარებელს არ შეუძლია. საიტი განკუთვნილია საქართველოს ტერიტორიაზე გამოყენებისათვის და მის ფარგლებს გარეთ საიტის გამოყენების შემთხვევაში თავად მომხმარებელია პასუხიმგებელი ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვაზე და მისი დარღვევით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე.
- https://el.ge - განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი ვებ-გვერდი გათვლილია სკოლამდელი აღსაზრდელების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია პლატფორმა „ilსკოლა“. აღნიშნული პლატფორმა სკოლებს სთავაზობს კომპლექსური დავალებების კრებულებს სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისთვის ყველა საგნობრივ ჯგუფში. მოცემული მასალები შექმნილია გამოცდილი პედაგოგებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის კურიკულუმის განვითარების ექსპერტების მიერ. ვებ-გვერდი არაკომერციულია. აქვე მითითებულია, რომ გამოქვეყნებული მასალის ყველა საავტორო უფლება დაცულია.